



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №119



KA010193251857421

25 / მარტი / 2021 წ.

თბილისი

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და „ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებისა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 68 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს 2021 წლის 26 აპრილიდან 2021 წლის 19 მაისამდე.
2. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტირების ფორმით და მოიცავს ორ ეტაპს:
 - ა) ზოგადი უნარ-ჩვევები (ვერბალური და მათემატიკური ნაწილები);
 - ბ) პროფესიული ნაწილი.
3. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მსურველთა საბუთების მიღებისა და დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შემოწმების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა“ უზრუნველყოს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის სამდივნოს შექმნა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებლად აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტროსად



გონა ლორთქიფანიძე